პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 29 ივნისი, 1943 წ. № 138 (6763). ფასი 20 კაპ.

საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები—ფრონტის დასახმარებლად!

საბჭოთა ხალხის მთელი ფიქრები და გრძნობები მამაც წითელ არმიასთან არის. მას, ჰიტლერელ ყაჩაღთაგან ჩვენი ქვეყნის დიად მონაპოვართა დამცველს, ახმარებს მთელ თავის ძალებს კოლმეურნე გლეხობაც. ერთი მხურვალე სურვილი ხელმძღვანელობს კოლმეურნეთა მთელ მოქმედებას—თვიდან თვემდე, დღითი-დღე აძლიერონ ფრონტისადმი დახმარება.

წითელი არმიისათვის ამ დიდმა მზრუნველობამ ომის დღეებში საკოლმეურნეო სოფელში წარმოშვა სოციალისტური შეჯიბრება წინათ არნახული მასშტაბებით. მუშებისა და მუშა ქალების მაგალითისამებრ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები კისრულობენ ვალდებულებებს, ცდილობენ გამოძებნონ სურსათის წარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ახალი, დამატებითი წყაროები.

სოციალისტური შეჯიბრება მძლავრი ბერკეტი იყო შრომის ნაყოფიერების გადიდებისა ომამდელ წლებშიც, ახლა კი იგი ხალხთა მასებისათვის კიდევ უფრო მახლობელი და მშობლიური საქმე გახდა. განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო შეჯიბრებამ სოფლის მეურნეობაში გასულ წელს. მის ინიციატორთა შორის იყვნენ ყაზახეთის კოლმეურნე მეცხოველეები.

შეჯიბრების დამწყებთ, ისე როგორც ყველა მის აქტიურ მონაწილეს, საუცხოოდ ესმოდათ, რომ ომიანობის დროს ვალებების მარტო შესრულება როდი კმარა. სახელმწიფოს დავალება მინიმუმია. იგი შეიძლება და კიდევაც უნდა შევასრულოთ გადამეტებით. ისინი ნათელ ანგარიშს აძლევდნენ თავიანთ თავს იმაში, რომ ახლანდელს მკაცრ დროს განსაკუთრებით ორგანიზებულად უნდა ვიმუშაოთ. დაუდევრობას, მოდუნებულობას ახლა არ შეიძლება ადგილი ექნეს! და ადამიანები მუშაობდნენ ომიანობის დროის შესაფერისად, როგორც ამას ამხანაგი სტალინი გვასწავლის.

სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის 1942 წელს არის ყაზახეთის სსრ. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით მას მიენიჭა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

დაჯილდოების ამბავს ყაზახეთის ყოველ კუთხეში დიდი სიხარულითა და სიამაყით შეხვდნენ. მაგრამ ყაზახეთის კოლმეურნეებმა ეს ჯილდო მიიღეს არა მარტო როგორც თავისი მუშაობის მაღალი შეფასება. მათ სწორად გადასწყვიტეს, რომ არ შეიძლება მიღწეულით დამშვიდება, რომ ჯილდო კიდევ უფრო დაძაბულ შრომას ავალებთ. საბჭოთა ადამიანებს თავიანთი დღევანდელი მუშაობის შეფასების დროს არ შეუძლიათ მხარს უსწორებდნენ გუშინდელ დღეს. ისინი უნდა ემყარებოდნენ არა იმას, რაც წარსულშია გაკეთებული, არამედ სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს, რასაც ფრონტი ზურგის მუშაკებს უყენებს.

ამხანაგი სტალინი თავის საპირველმაისო ბრძანებაში მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას მოუწოდებდა—გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ ფრონტისათვის. საბჭოთა ხალხი ბელადის მოწოდებას უპასუხებს ფრონტისადმი თავისი დახმარების გაძლიერებით, ყაზახეთის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა გადასწყვიტეს ახალი ვალდებულებანი ეკისრათ. მათ დაებადათ აზრი ამის შესახებ მიეწერათ ამხანაგ სტალინისათვის. ბელადისადმი მიწერილი წერილი განხილული იყო 6.773 კოლმეურნეობაში. „ამ წერილს ხელი მოაწერეს ჭაღარაწვერიანმა მოხუცმა აქსაკალებმა, ქალებმა და მოზარდებმა. მათი მამები, ვაჟები და ქმრები, ძმები, მეგობრები და თანასოფლელები გმირულად იბრძვიან გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ“. წერილს აქვს მილიონამდე კოლმეურნისა და კოლმეურნე ქალის ხელმოწერა. დღეს ეს წერილი ქვეყნდება „პრავდაში“.

ყაზახეთის კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები სწერენ:

„გაძლევთ მტკიცე კოლმეურნულ სიტყვას, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ჩვენ ვიხმარებთ ყოველ ღონისძიებას, რათა შევასრულოთ თქვენი ბრძანების ყველა მოთხოვნა. ჩვენ მივალწევთ პირუტყვის სულადობის კიდევ უფრო დიდ მატებას და მეცხოველეობის პროდუქციის გამოშვების გადიდებას“.

ყაზახეთი—წარსულში მეფის ჩამორჩენილი კოლონია—საბჭოთა ხელისუფლების წლებში ერთ-ერთი მოწინავე მოკავშირე რესპუბლიკა გახდა. ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ ყაზახეთის ეკონომიკისა და კულტურის გაფურჩქვნა, ყაზახი ხალხის სულიერი ძალთა მძლავრი აღმავლობა გამოიწვია. სამამულო ომის დღეებში ყაზახეთის სსრ გადაიქცა ერთ-ერთ არსენალად, რომელიც ფრონტს უზრუნველჰყოფს შეიარაღებით, საჭურვლით, საომარი მასალით. ყაზახეთი სსრ კავშირის სასურსათო, მეცხოველეობის უდიდესი ბაზა გახდა.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან საბრძოლო კავშირში გაერთიანებული ყაზახები მთელ თავიანთ ძალებს გერმანელ დამპყრობლებზე გამარჯვების საქმეს ახმარებენ.

სერიოზული და პასუხსაგები ვალდებულებანი, რომელთა შესახებაც ყაზახეთის სსრ კოლმეურნეები და კოლმეურნე ქალები ამხანაგ სტალინს ატყობინებენ, თავის საბჭოთა სამშობლოსადმი ყაზახეთის მშრომელების უსაზღვრო სიყვარულის, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ახალი მკაფიო გამოხატულებაა.

ყაზახეთის კოლმეურნეები გამსჭვალული არიან მტკიცე გადაწყვეტილებით შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი. „ჩვენს რესპუბლიკას, სწერენ ისინი ამხანაგ სტალინს, — მოეპოვება დიდი რეზერვები; ჩვენ ვკისრულობთ ავამოქმედოთ ეს რეზერვები“. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთ მთავარ რეზერვად ყაზახეთის კოლმეურნეები სთვლიან იმას, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობანი მოწინავეთა დონეს გაუსწორონ.

ასეთი რეზერვები ყოველ ოლქსა და რესპუბლიკაში მოიპოვება. ყოველ რაიონში არის ზუსტად, შეთანხმებულად მომუშავე კოლმეურნეობანი. მიუხედავად ომიანობის დროის სიძნელეებისა, ისინი წარმატებით ასრულებენ ყველა დავალებას და პროდუქტებს გეგმის გადამეტებით აბარებენ. და აი იქვე, იმავე მიწაზე, სხვა კოლმეურნეობანი აგვიანებენ თესვას, გამარგვლას, მოსავლის აღებას, იღებენ ნაკლებ მოსავალს, ჩამორჩებიან მეცხოველეობაში.

პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელები ზოგჯერ იმიტომ ურიგდებიან კოლმეურნეობათა ნაწილის არადამაკმაყოფილებელ მუშაობას, რომ მათს რაიონში ცოტა როდია კარგი მეურნეობა და ხდება ხოლმე ისე, რომ მთლიანად რაიონს საერთოდ ცუდი მაჩვენებლები როდი აქვს. ადამიანები იწყებენ მოწინავეთა სახელით ცხოვრებას, მშვიდდებიან და საშუალო ციფრებს იქით ვეღარ ამჩნევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

დაეხმარონ ასეთ კოლმეურნეობებს სავსებით გამოიყენონ თავიანთი რეზერვები, უკეთ მოაწყონ შრომა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მათ—ეს არის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უპირველესი მოვალეობა. წინ წამოწიოთ ჩამორჩენილი მეურნეობანი — იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანასა და ფრონტს მივცეთ დამატებითი პროდუქცია, გავადიდოთ კოლმეურნეობის შემოსავალი, გავადიდოთ ნატურალური და ფულადი გაცემა კოლმეურნის შრომადღეებზე.

სოციალისტური შეჯიბრება ამრავლებს მოწინავეთა რიცხვს. ცუდად მიმუშავენი ისწრაფვიან დაეწიონ საუკეთესო მეურნეობებს. მაგრამ, შეჯიბრება რომ მართლა მასობრივი და ქმედითი გახდეს, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ვალდებული არიან სისტემატურად, მუდამ უხელმძღვანელონ მათ.

ზოგი პარტორგანიზაცია შეჯიბრებული კოლმეურნეობებისადმი ინტერესს იჩენს მარტო მათ მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში. ისინი ივიწყებენ, რომ ვალდებულებათა მიღების შემდეგ ნამდვილი, საბრძოლო შეჯიბრება მხოლოდ იწყება და რომ სწორედ მაშინ არის საჭირო კონკრეტული, საქმიანი დახმარება შეჯიბრების მონაწილეებისათვის. ფართო საჯაროობა, შეჯიბრებულთა მუშაობის შედარება, ურთიერთშემოწმება, გამოცდილების გაზიარება — უამისოდ წარმოუდგენელია ცოცხალი მასობრივი შეჯიბრება. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა—მიიყწიონ იმსს, რომ ყოველმა კოლმეურნეობამ, რომელიც შეჯიბრებაშია ჩაბმული, შეასრულოს თავისი ვალდებულება.

ყაზახეთის კოლმეურნეობათა, ისე როგორც სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების სხვა მოწინავეთა წარმატებანი სოფლის მეურნეობაში,—ეს არის მასებში კომუნისტების დიდი საორგანიზაციო და პოლიტიკური მუშაობის შედეგი. ყაზახეთის პარტიის რაიკომები სისტემატურად ამოწმებენ შეჯიბრების მსვლელობას, რეგულარულად განიხილავენ მეცხოველეობის საკითხებს ბიუროს სხდომებსა და პარტიული აქტივის თათბირებზე, დახმარებას უწევენ მეცხოველეებს, რომ ერთმანეთს გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება, დანერგონ მეურნეობის მოწინავე ხერხები, მეთოდები.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებში ახლა გახურებული მუშაობაა. კოლმეურნეობები ნათესებს სწმენდენ სარეველა ბალახებისაგან, ხნავენ ანეულს, თიბავენ. მალე დაიწყება მოსავლის აღება. სოციალისტური შეჯიბრება მოწოდებულია დაეხმაროს კოლმეურნეობებს დროზე და კარგად შეასრულონ ყველა საქმეები.

უფრო ფართოდ გავაჩაღოთ შეჯიბრება სოფლად! კოლმეურნეობათა მთელი ძალები—ფრონტის დასახმარებლად!

„პრავდის“ მოწინავე, 27/VI.

საქართველოში მეორე სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხიდან ნაღდად შეჯანილია 224.711.000 მანეთი

საქართველოს სახელმწიფო შემნახველი საბანკოებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობებით, საქ. სს რესპუბლიკაში მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხიდან (456.415.000 მანეთიდან) 25 ივნისისათვის ნაღდად შეტანილი იყო 224.711.000 მანეთი. აქედან შეტანილი აქვთ: ნაუმ-მოსამსახურეებს — 8.181.000 მანეთი, კოლმეურნეებს — 182.582.000 მანეთი, კოლმეურნეობებსა და სარეწაო არტელებს — 33.948.000 მანეთი.

სესხზე ხელმოწერის თანხები მთლიანად შეიტანეს საქართველოს 26 რაიონის კოლმეურნეებმა. აბაშის, ასპინძის, ზესტაფონის, ქვემო-სვანეთის, ჭუთაისის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, წალენჯიხისა და წალაკის რაიონებში, კოლმეურნეებს გარდა, სესხზე ხელმოწერის თანხები მთლიანად დაფარეს აგრეთვე კოლმეურნეობებმა და სარეწაო არტელებმა.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 ივნისის საღამოს ცნობა

27 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

ჩვენმა მფრინავებმა შავ ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი.

გასული კვირის განმავლობაში, 20-დან 27 ივნისამდე, საჰაერო ბრძოლებში, საზენიტო არტილერიისა და ჯარების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 211 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის მრავალი თვითმფრინავი მოსპობილი და დაზიანებულია მოწინააღმდეგის აეროდრომებზე საბჭოთა ავიაციის თავდასხმათა შედეგად. ამავე ხნის განმავლობაში ჩვენ 74 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს მტრის საარტილერიო ბატარეა და 7 ტყვიამფრქვევი. ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმი ცდილობდა დაზვერვა მოეხდინა. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ და ჩვენი თავდაცვის წინა კიდეში არ მოუღწევიათ.

* * *

ორიოლის სამხრეთით ჩვენი ქვეგანაყოფები ბრძოლით დაზვერვას ეწეოდნენ. საბჭოთა არტილერისტები უშენდნენ მტრის თავდაცვის ნაგებობებს და საცეცხლე წერტილს. მოსპეს გერმანელთა საარტილერიო ბატარეა, 7 სანაღმტყორცნო ბატარეა და 26 ტყვიამფრქვევი. დაგრეულია მტრის 19 ბლინდაჟი, 5 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 4 სათვალთვალო პუნქტი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით მზვერავმა ჯგუფმა ზემდეგ ვალევიჩეს მეთაურობით ქტრის განლაგებაში შეაღწია, მოსპო ძელმიწური საცეცხლე წერტილ, დაზგის ტყვიამფრქვევი და გასწყვიტა მტრის 40-მდე ჯარისკაცი. მზვერავებმა წამოიყვანეს ტყვეები და უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

ჩვენმა ავიაგამანადგურებელმა ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი. გერმანელი მფრინავები ტყვედ არიან წამოყვანილნი.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ამ დღეებში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი. მტერი ცდილობს დაბრუნოს ის მიერ დაკარგული პოზიციები. დღის განმავლობაში ჰიტლერელები ექვსჯერ გადმოვიდნენ იერიშზე, მაგრამ ყოველთვის დიდი ზარალი მოსდიოდათ და უკან იხევდნენ. ამაო იერიშების შედეგად გერმანელებმა მოკლულთა სახით 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე 6 ნაწილის სნაიპერმა 21 გერმანელი დახოცეს. აქედან სნაიპერმა ტიმოფეევამ მოჰკლა 5 გერმანელი, კირილოვამ — 3, სნაიპერმა პოპოვამ 2 ჰიტლერელი მოსპო. საარტილერიო ქვეგანაყოფებმა მოსპეს მტრის 2 ქვემეხი, 5 ტყვიამფრქვევი, დაანგრიეს 15 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 13 მიწური.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადაადგო მტრის ორი სარკინიგზო ეშელონი. მარცხის დროს დაიმტვრა 2 ორთქლმავალი, 8 საკლასო ვაგონი ჯარისკაცებიანად და 23 ვაგონი საომარ მასალიანად. პარტიზანმა ამფეთქებლებმა ააფეთქეს რკინიგზის ხიდი და დაანგრიეს ტელეგრაფ-ტელეფონის კავშირგაბმულობა.

* * *

გერმანელთა 111-ე ქვეითი დივიზიის 117-ე პოლკის მე-3 ასეულის ტყვე უნტერ-ოფიცერმა ვილჰელმ შვარცმა განაცხადა: „ომის დასაწყისში პირველი წარმატებებით გაბრუებულ, ჩვენ მტკიცედ გვჯეროდა ელვისებური გამარჯვება. გერმანელთა ჯარების განადგურებამ მოსკოვთან პირველად შეარყია ეს რწმენა. სტალინგრადთან მომხდარმა კატასტროფამ ჩიხში მოამწყვდია ყველაზე დიდი ოპტიმისტებიც კი. ბევრი ჯარისკაცი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ რუსეთის დამარცხება შეუძლებელია. გერმანული პრესა უკვე დიდი ხანია ამტკიცებს, შეუძლებელია ევროპაში მეორე ფრონტის გახსნაო. გერმანული გაზეთის ყოველ ნომერში ქებით იხსენიებენ „ევროპის ციხე-სიმაგრეებს“. მთელი ეს ნაჯღაბნი მიზანს ვერ აღწევს, პირიქით, კიდევ უფრო გვარწმუნებს, თუ რაოდენ დიდია მეორე ფრონტის გახსნის საფრთხე. ჯარისკაცები ამის გამო ამბობენ: „ყველა თავის სატკივარზე სჩიჩიანო“. ბევრისათვის ცხადია, რომ გერმანელთა არმიას არ შეუძლია დიდ ხანს იბრძოლოს ორ ფრონტზე. ამიტომ ჰიტლერს სურს რაც შეიძლება დიდ ხანს დააყოვნოს საომარი მოქმედების დაწყება დასავლეთში, რათა დრო მოიგოს“.

* * *

შეიარაღებულ დანიელ პარტიზანთა ჯგუფი ღამით შეიპარა ქარხანა „კლიუდ და მარსტრანდის“ ტერიტორიაზე კოპენჰაგენში. პატრიოტებმა სამანქანო განყოფილებაში ჩასდეს შენელებული მოქმედების ბომბი და მიიმალნენ. 10 წუთის შემდეგ მოხდა ძლიერი აფეთქება. მიყენებულია დიდი ზარალი. ქარხანამ შესწყვიტა იმ პროდუქციის გამოშვება, რომელსაც გერმანელი ფაშისტი ოკუპანტები ხმარობდნენ.

28 ივნისის ღილის ცნობა

27 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე საბჭოთა ქვეგანაყოფებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს მოწინააღმდეგის რამდენიმე მცირე მზვერავი ჯგუფი; რომლებიც ცდილობდნენ ჩვენი თავდაცვის წინა კიდეში შემოეღწიათ. მზვერავთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ სტაროდუბოვის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია. მზვერავები სანგარში შეიჭრნენ, მოჰკლეს გერმანელი ოფიცერი, 3 ჯარისკაცი, წამოიყვანეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

მცენსკის ჩრდილო-დასავლეთით მოთვალთვალეებმა აღმოაჩინეს მტრის საარტილერიო ბატარეა. 6 ნაწილის არტილერისტებმა სროლა გააჩაღეს, მოსპეს გერმანელთა 3 მძიმე ქვემეხი, დაანგრიეს ბლინდაჟი და დახოცეს ქვემეხთან მყოფი გერმანელი არტილერისტები.

* * *

სევსკის რაიონში 6 ნაწილის არტილერისტები უშენდნენ გზას მტრის ზურგზე. ყუმბარების პირდაპირი მოხვედრებით დანგრეულია ხიდი. მოსპობილია მტრის 3 ავტომანქანა და 14 საზიდარი ტვირთიანად. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა თავდასხმა მოახდინეს გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფზე, რომლებიც ყველე სამზარეულოსთან შეგროვებულიყვნენ. მოკლული და დაჭრილია რამდენიმე ათეული ჰიტლერელი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრივ. იმ ქვეგანაყოფის ნაღმმტყორცნელებმა, რომლის მეთაურიც არის ლეიტენანტი ალექსანდროვი, ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე და მოსპეს მტრის რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ორ ოცეულამდე ჰიტლერელი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

კარელიის ფრონტის ერთ უბანზე 6 ნაწილის ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მაღლობზე გამაგრებულ მტერზე. ხელჩართული შეტაკების შედეგად ჩვენმა მებრძოლებმა დიაკვეს ეს მაღლობი. მოგერიებულია აგრეთვე მტრის ცდა დაებრუნებინა მის მიერ დაკარგული პოზიციები. მაღლობისათვის ბრძოლაში მოსპობილია მტრის 300-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა შეუპოვარ ბრძოლებში გასწყვიტა 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოღებულია ტყვიამფრქვევები, ავტომატები, შაშხანები, ბევრი ვაზნა და სხვა დაგლა. სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა გზატკეცილი დანაღმა. ნაღმებზე აფეთქდა გერმანელთა ჯავშნიანი მანქანა და მოტოციკლი. პარტიზანებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა ბომბდამშენი.

* * *

გერმანიის „სს“ სატანკო დივიზია „ადოლფ ჰიტლერის“ ტყვე ჯარისკაცმა ფერდინანდ მიულერმა განაცხადა: „2 ივნისს ღამით ჩურის ოლქზე ბომბიოდნო. როდესაც მატარებელი დუისბურგს მივიდა, იქ გამოცხადებული იყო საჰაერო განგაში. მატარებელი ესსენის მიმართულებით დაიძრა, მაგრამ სადგურამდე არ მისულა და შეჩერდა. აქედან მე თვალს ვადევნებდი ესსენის დაბომბვას. პირველად ინგლისელები გამაშუქებელ შუშხუნებს ჰყრიდნენ, შემდეგ კი ცეცხლგამჩენი ბომბების სეტყვა წამოვიდა. ქალაქის ქარხნებსა და მთელ უბნებს ხანძარი მოედო. მატარებლის მარჯვენივ ერთი ბომბი ბენზინსაცავს მოხვდა. ალი და კვამლი რამდენიმე ას მეტრზე ავარდა. ჩვენს მარცხნივ დიდი ფაბრიკა იწვოდა. ერთი საათის შემდეგ ესსენი ცეცხლის ზღვას წარმოადგენდა“.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა გაანადგურეს მტრის გარნიზონი ვოჩინში. პატრიოტებმა ხელთ იგდეს დაკლა, მათს რიცხვში, 2 სამოთო ქვემეხი და მისი 760 ყუმბარა, 5 დაზგისა და 14 ხელის ტყვიამფრქვევი, 4 ნაღმსატყორცნი და 80.000 ვაზნა.

ჩვენმა ავიაციამ დაბომბა სარკინიგზო კვანძი ორიოლი და მგრის აეროდრომები

26 ივნისს ღამით ჩვენმა შორმოქმედმა ავიაციამ თავდასხმები მოახდინა სარკინიგზო კვანძ ორიოლზე და მტრის აეროდრომებზე.

დაბომბვის შედეგად სარკინიგზო კვანძ ორიოლზე 16-გან დიდი ხანძარი გაჩნდა. იწვოდა მტრის სარკინიგზო ეშელონები. ხანძრების დროს რამდენიმე ძლიერი აფეთქება მოხდა.

მოწინააღმდეგის აეროდრომებზე ჩვენი თვითმფრინავების ეკიპაჟებმა შეამჩნიეს აგრეთვე ბევრი ხანძარი და აფეთქება.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის ბაზებში დაბრუნდა.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა ორშის რკინიგზის კვანძზე და ჭამანის ნავსადგურზე

27 ივნისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია თავს დაესხა ორშის რკინიგზის კვანძს და ტამანის ნავსადგურს. დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის საწყობები, ეშელონები და თავმოყრილი ჯარები. ბევრგან ხანძარი გაჩნდა, რასაც თან სდევდა ძლიერი აფეთქებანი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ ბაზებში დაბრუნდა.

სსრ კავშირის ელჩმა მექსიკაში ამხ. უმანსკიმ რწმუნებების სიგელები გადასცა პრეზიდენტ ავილა კამაჩოს

ნიუ-იორკი, 23 ივნისი (საკდესი). (მიღება დაგვიანებულია). მექსიკოდან მიღებული ცნობით, სსრ კავშირის ელჩმა მექსიკაში ამხ. უმანსკიმ 22 ივნისს თავისი რწმუნების სიგელები გადასცა მექსიკის პრეზიდენტს ავილა კამაჩოს.

673 მილიონი ცალი წიგნი და ბროშურა

დიდი სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში სსრ კავშირის სხვადასხვა გამომცემლობის მიერ გამოცემულია 35.000 სახელწოდების წიგნი და ბროშურა 673 მილიონი ცალის საერთო ტირაჟით. ყველა გამოცემის ნახევარზე მეტი მოდის ლიტერატურაზე დიდი სამამულო ომის, სამხედრო საქმის, ფაშიზმთან ბრძოლის, საერთაშორისო პოლიტიკურ და ტექნიკურ საკითხებზე.

63 ენაზე, 60.915.000 ცალი ტირაჟით გამოიცა ბროშურები, რომლებიც შეიცავენ უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის გამოსვლებს, სიტყვებს, მოხსენებებს, ბრძანებებს.

მილიონიანი ტირაჟებით გამოვიდა ბროშურები საბჭოთა ხალხის გმირულ წარსულზე: ალექსანდრე ნეველზე, დიმიტრი დონსკოიზე, მინინსა და პოჟარსკიზე, სუვოროვზე, კუტუზოვზე. ტარლეს ბროშურა „1812 წლის სამამულო ომი და ნაპოლეონის იმპერიის განადგურება“ გამოიცა 360.000 ცალი ტირაჟით. ყველა ეს გამოცემა ითარგმნებოდა ნაციონალურ ენებზე.

უკანასკნელი ორი წლის გამოცემებში უდიდესი ადგილი უჭირავს მხატვრულ ლიტერატურას, უმთავრესად ნარკვევებს, რომლებიც მიძღვნილია საბჭოთა ხალხის გმირობისადმი, ფრონტის გმირებისა და ზურგის მუშაათა შრომითი მამაცობისადმი. ყველაზე დიდი ტირაჟები ჰქონდათ ა. ტოლსტოის, ი. ერენბურგის, კ. სიმონოვის, მ. შოლოხოვის ნაწარმოებთ.

კ. სიმონოვის პიესა „რუსი ადამიანები“ გამოვიდა 621.650 ცალი ტირაჟით. კორნეიჩუკის პიესა „ფრონტი“—296.350 ცალად, ვანდა ვასილევსკაიას რომანი „ცისარტყელა“ — 415.200 ცალად.

სამამულო ომის ორი წლის განმავლობაში რუსულ, ქართულ, სომხურ და სხვა ენებზე გამოცემულია ამერიკელი და ინგლისელი მწერლების ერთ მილიონამდე ცალი ნაწარმოები (საკდესი).

40.000 კომბაინერი

მოსავლის ასაღებად გავა კომბაინერთა ახალი შვენება.

სსრ კავშირის მიწსახკომის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლებში დაიწყო კურსდამთავრებულთა გამოცდა. წელს მომზადებულ იქნება 40.000-ზე მეტი კომბაინერი. გარდა ამისა, მტს-ებთან სწავლობს კომბაინერთა თანაშემწეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

რესპუბლიკებისა და ოლქების უმეტესობა უშვებს კომბაინერთა ისეთ რაოდენობას, რომ არა მარტო სავსებით უზრუნველჰყოფს მათით თავიანთ მტს-ებს, არამედ სხვა რაიონებსაც დახმარებას გაუწევს. მაგალითად, ბაშკირეთში გეგმის გადამეტებით მომზადებულია დაახლოებით 1.000 კომბაინერი, ჩკალოვის ოლქში მომზადების გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით. (საკდესი).

28 ივნისის საღამოს ცნობა

28 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე კანტიკუნტი საარტილერიო და თოფ-ტყვიამფრქვევის სროლა იყო ორივე მხრიდან. 6 ნაწილის არტილერისტებმა დაამსხვრიეს მოწინააღმდეგის 9 ბლინდაჟი, მოსპეს ქვემეხი და 5 ტყვიამფრქვევი. ჩვენი ქვეგანაყოფები დაზვერვას ეწეოდნენ ბრძოლით და წამოიყვანეს რამდენიმე ტყვე. ერთ უბანზე 6 ნაწილის მზვერავი რაზმი შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში. მზვერავებმა მოსპეს 30 ჰიტლერელი; ხელთ იგდეს დავლა და უზარალოდ დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენმა საბრძოლო დაკვამ შენიშნა გერმანელთა რაზმი, რომელიც მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე გადმოდიოდა. საბჭოთა მებრძოლებმა ჰიტლერელებს მისცეს შესაძლებლობა დაუბრკოლებლად გადმოსულიყვნენ ნაპირზე. გერმანელები, რაკი წინააღმდეგობას არ შეხვდნენ, სწრაფად წამოვიდნენ და ნაღმიან ველს წაადგნენ. რამდენიმე ჰიტლერელი მოკლულ იქნა ნაღმების აფეთქებით, დანარჩენი კი გაიქცნენ უკან მდინარისაკენ. ჩვენმა მებრძოლებმა უკანდასახევი გზა მოუჭრეს მტერს და სავსებით გაულიტეს მოწინააღმდეგის რაზმი.

ჩვენი საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი. გერმანელთა თვითმფრინავები და მათი ეკიპაჟები დაიწვნენ.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ასეულმა სცადა დაზვერვა გაეწია ბრძოლით. ჩვენი ქვეგანაყოფები თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეხვდნენ გერმანელებს და მიწას გააკრეს ისინი მავთულლობურებთან. შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა ხიშტის დარტყმით გაანადგურეს ჰიტლერელები. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩაახშეს 3 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, მოსპეს 2 ტყვიამფრქვევი და გაჰფანტეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

ლენინგრადის ოლქში მოქმედმა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ათი დღის ბრძოლებში მოსპო ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი, დასწვა ტანკი, 12 საბარგო ავტომანქანა სამხედრო ტვირთიანად და 4 მსუბუქი. ავტომანქანა. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ბევრი იარაღი. საომარი მასალა და სურსათი. ამავე დროის განმავლობაში პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადაგდეს გერმანელთა 9 ეშელონი. მოსპობილია 2 ორთქლმავალი, 14 ვაგონი ჯარისკაცებიანად, 7 პლატფორმა ქვემეხებიანად, 5 პლატფორმა ავიამოტორებიანად, 24 ვაგონი სურსათიანად, 4 ცისტერნა საწვავიანად და 29 ვაგონი სხვადასხვა საბრალო, ტვირთიანად.

ლენინგრადის ფრონტის ერთ უბანზე წითელ არმიის მებრძოლებმა გადაუარეს გერმანელთა 58-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორი სტეფანე ტ. გადმოსულმა გაანაცხადა: „დემიანსკის ქვაბში ყოფნისას 58-ე დივიზიამ ძმიმე ზარალი განიცადა. დემიანსკიდან უკან დახევის დროს ჯარისკაცები გერმანელთა მრავალრიცხოვანი სასაფლაოების ახლოს რომ გაიცლიდნენ ხოლმე, აღშფოთებით ამბობდნენ: „რისთვის ვყავდით აქ წელიწადნახევარს? ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ათასობით ჯარისკაცი შეეწირათ მსხვერპლად?“. ბევრი უკვე ხვდებიან, რომ გერმანიის არმია მიეყანება თავისი დაღუპვისაკენ. ჯარისკაცებში საბრძოლო სულისკვეთება ეცემა“.

* * *

უკრაინელმა პარტიზანებმა მოჰკლეს კოროსტიშევის რაიონის გერმანელი კომენდანტი ფოგტ არმინი. მოკლულს უპოვეს კოროსტიშევის გერმანელი საოლქო კომისრის განკარგულება სასოფლო-სამეურნეო დარგის გერმანელ საოკრუგო რწმუნებულთადმი და ოლქის დასაყრდენ პუნქტთა ხელმძღვანელთადმი. ჰიტლერის ს

სამამულო ომის სახელოვანი მებრძოლნი

მოქმედი არმია (მარცხნიდან მარჯვნივ). გულადმა და მამაცმა მესანგრემ ლეიტენანტმა **რ. კარგარეთელმა** ჩვენი **ჯარების** შეტევითი ბრძოლების დროს, როცა გერმანელებმა მდინარის ორივე ნაპირი დანაღმულ არად აქციეს, **ორ** მესანგრესთან ერთად განნღმა ისინი. განსაკუთრებული მამაცობისა და უნარიანი მოქმედებისათვის იგი **დაჯილდოებულია** სამამულო **ომის II ხარისხის** ორდენით და მედლით „მამაცობისათვის". სამამულო ომამდე იგი მუშაობდა მაიაკოვსკის რაიონის სოფ. როკითის საშუალო სკოლის მასწავლებლად.

ტანკის ქვემეხის მეთაური, გვარდიის **უფროსი ზემდეგი გრიგოლ სულაბერიძე.** იგი 24 შეტევითი ოპერაციის მონაწილეა და თავისი ქვემეხით მოსპო გერმანელთა სამი ტანკი. გულადობისა და მამაცობისათვის **ამხ.** სულაბერიძე **დაჯილდოებულია** წითელი ვარსკვლავის ორდენით **და** მედლით „მამაცობისათვის". მამაცი ტანკისტი კოლმეურნის შვილია და ომამდე ქ. წულუკიძეში მუშაობდა.

გვარდიის ლეიტენანტი **ვ. ი. ბოგუჩავა,** რომელიც **დაჯილდოებულია** წითელი დროშის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის". ამ მამაცმა მზვერავმა პირადად იგდო ხელთ „მოენე" და მოსპო 18 გერმანელი. ომამდე **ამხ.** ბოგუჩავა ცხოვრობდა საქართველოში, დაამთავრა ათწლედი და მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

უდანაკარგოდ ავიღოთ უხვი მოსავალი

ფართოდ გაჩაღდა მოსავლის აღება

სიღნაღი („კომუნისტის" კორ.). სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით დაიწყო ქერისა და ხორბლის მოსავლის აღება. მოსავლის აღებასთან ერთად კოლმეურნეობები პირნათლად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას—პირველ განალეწ მარცვალს სახელმწიფოს აბარებენ.

ქერის მოსავლის აღება რაიონში პირველმა დაიწყო ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ. მან მოსავლის აღების დაწყებასთანავე სახელმწიფოს მაღალი ხარისხის ქერი ჩაბარა. წნორის მტს-ის კომბაინერი მაკაევი აღნიშნულ კოლმეურნეობაში ნაცვლად 8 ჰექტარისა ყოველდღიურად 15 ჰექტარზე იღებს მოსავალს. მას 27 ივნისისათვის ქერი და ხორბალი აღებული აქვს 198 ჰექტარზე. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე ჩაბარა 35 ტონა მარცვლეული.

ქერის მოსავლის აღება დაამთავრა საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ და სახელმწიფოს ჩაბარა 5 ტონა ქერი. ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 6 ტონა ქერი. ქერის მოსავლის აღება დაამთავრა აგრეთვე წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ, ანაგის კოლმეურნეობებმა „მისწრაფებამ", „ნაპერწყალმა" და სხვ. რაიონში ქერისა და ხორბლის მოსავალი აღებულია 1.246 ჰექტარზე. სახელმწიფოს ჩაბარდა—ქერი 90 ტონა, ხორბალი 65 ტონა.

სიღნაღის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კომბაინების შეუფერებლად მუშაობას, მკაბრივად გაიყვანონ კოლმეურნეები მოსავლის ხელით აღებაზე და დანაკარგების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ი. სიმონიშვილი

ჰურის მოსავლის აღება

ბორჩალო (საქდესი). ბორჩალოს რაიონში ქერის მკას პირველნი შეუდგნენ სტალინის სახელობის, ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობანი და კოლმეურნეობა „სოციალიზმი". მოსავლის აღებისათვის კარგად მომზადებამ უზრუნველჰყო კოლმეურნეთა ორგანიზებული გასვლა მინდვრებში და მოსავლის აღების სწრაფი ტემპები. კოლმეურნეობანი საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 10 ცენტნერ ქერს. კოლმეურნეებს შორის ჩაღდება შეჯიბრება მოსავლის, რაც შეიძლება სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. კარგად მუშაობენ კომბაინერები ე. ნანი-ოღლი და ბაბჩენკო, რომელნიც 150 პროცენტით ასრულებენ დავალებას.

თივის მოსავალს წარმატებით იღებენ

ბორი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონში გაცხოველებით მიმდინარეობს, თივის მოსავლის აღება. ვარიანის საბჭოთა მეურნეობაში თივა აღებულია 150 ჰექტარზე. წარმატებით მიმდინარეობს თივის მოსავლის აღება გორის საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე უფლისციხის, ზემონიქოზის და ქვემო ხვითის კოლმეურნეობებში. უფლისციხის კოლმეურნეობამ 80 ჰექტარზე აიღო თივა. ქვემო ხვითისამ—180 ჰექტარზე და უკვე ჩაბარა სახელმწიფოს 1,5 ტონა საუკეთესო თივა.

შ. ჩუბინიძე

გეგმების შესრულება

ლიმონ-მანდარინის ტრესტის ახალშენის საბჭოთა მეურნეობამ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 26 რიცხვისათვის შესრულა. წელს მოკრეფილია და სახელმწიფოს ჩაბარდა 69.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ახალშენის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ალ. ჯიჯიეშვილი

* * *

ქასპი („კომუნისტის" საკ. კორ.). ქასპის მტს-ის მუშაკთა კოლექტივმა ვადაზე 10 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა 1943 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა, ნაცვლად 3.043 ჰექტარისა დაამუშავა 3.145 ჰექტარი—გეგმის 103 პროცენტი. სტაროსტა-რო ბრიგადის ბრიგადირმა **ამხ.** ალ. ბუთა-შვილმა დავალება 140 პროცენტით შეასრულა და 600 კილოგრამზე საწვავი დაზოგა. სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა გრ. ზავოდნიმ და მიხ. ბრეკინმა თითოეულმა 130 პროცენტით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები. გრ. ზავოდნიის ბრიგადამ 1.500 კილოგრამი საწვავი დაზოგა.

ი. გუზალაძე

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

(„საქჩაის" 25 ივნისის ცნობებით)

რაიონები	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტებით მაისის დასაწყისის ჩათვლით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	ივნისის გეგმის შესრულება პროცენტებით მაისის დასაწყისის ჩათვლით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	88,3	37,1	წულუკიძე	43,0	32,6
ქობულეთი	80,5	33,5	ქუთაისი	75,7	41,5
გალი	95,3	39,9	წყალტუბო	113,8	47,1
ოჩამჩირე	67	32,6	ტყიბული	96,1	41,0
გულრიშში	83,0	35,8	ცხაკაია	75,3	38,1
სოხუმი	104,9	43,0	აბაშა	66,0	34,3
გუდაუთი	77,1	36,2	გეგეჭკორი	45,7	32,2
მახარაძე	77,9	33,1	ზუგდიდი	77,9	37,6
ჩოხატაური	72,5	34,2	წალენჯიხა	61,0	36,6
ლანჩხუთი	59,1	28,7	ჩხოროწყუ	60,7	34,7
სამტრედია	81,1	40,7	ხობი	59,0	34,8

მამათის (ლანჩხუთის რაიონი) და დიდი ჯყონის მეორე (გეგეჭკორის რაიონი) ფაბრიკების ცნობები 20 ივნისისაა.

ფაშისტური იტალია დარტყმებს განიცდის

(საერთაშორისო მიმოხილვა)

ამ ბოლო დროს უცხოეთის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იტალიის მდგომარეობას, რომელიც სულ უფრო და უფრო მძლავრ დარტყმებს განიცდის მოკავშირეთა ჯარებისა და ავიაციის მხრივ. 11 ივნისს მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს იტალიის „გამაგრებული სამხედრო-საზღვაო და საავიაციო ბაზა სიცილიის სრუტეში—კუნძული პანტელერია. რამდენიმე დღის შემდეგ დაეცა კუნძულები ლამპედუზა, ლინოსი და ლამპიონე. ამრიგად, საკუთრივ იტალიის ტერიტორია სრულიად ღია აღმოჩნდა მოკავშირეთა ავიაციის დარტყმებისათვის. ინგლისისა და ამერიკის თვითმფრინავები, როგორც ამას წინათ ცნობილმა ფაშისტმა რადიო-მიმომხილველმა მარიო პელიუსმა აღიარა, „იტალიის ცის სრული ბატონ-პატრონი" გახდნენ.

ამ ბოლო დროს მოკავშირეთა ავიაციამ არაერთხელ განსაკუთრებული გაფთრებით დაბომბა იტალიის აეროდრომები სიცილიასა და სარდინიაში. ამავე დროს მოკავშირეთა ავიაცია თავს დაესხა სამხედრო-საზღვაო ბაზებს—სპეციასა და ნეაპოლს. ნეაპოლზე თავდასხმას 20 ივნისს ღამით განსაკუთრებით გაფთრებული ხასიათი ჰქონდა. დაბომბვით დაზარალებულ იქნა არსენალის ნახევარი, სტორპედო ქარხანა, საარტილერიო საწყობები, და გარაჟი. ძლიერ დაზიანდა ბრედის ქარხანა, რომელიც ამზადებს ფუზელაჟებს თვითმფრინავებისათვის.

როგორც უნგრული გაზეთის „პესტერ ლლოიდის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, იტალიის სამხედრო წარმოების მინისტრმა ფაჯაგოლამ განაცხადა, რომ „იტალიის მთავრობა იძულებულია ქალაქებიდან სასოფლო რაიონებში გადაიტანოს სამხედრო ქარხნები". გაზეთი „პოპოლო დ'იტალიის" ცნობით, კორპორაციის მინისტრმა ჩანეტიმ სენატში აღიარა, რომ იტალიის მრეწველობის წინაშე უაღრესად სერიოზული სიძნელეები დგას.

ფაშისტური ხელმძღვანელობის შინაპოლიტიკურ დაბრკოლებებს ნათლად მოწმობს ფაშისტური დირექტორიის (ფაშისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის) მიმართვა მუსოლინისადმი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა გამოიცეს ახალი კანონები „ხალხის მორალური სულისკვეთების შერყევისაკენ მიმართული ყოველგვარი ცდის" წინააღმდეგ.

ფაშისტური დირექტორია პირდაპირ-მეამბოხეთა, მუშებს, ჯლეხებს და ახალგაზრდობას და მოითხოვს მათგან „თავიანთი ვალის შესრულებას". „ფაშისტური პარტიის ნაციონალური დირექტორია,—ნათქვამია შიმართვაში,—ყველა მწარმოებელს ავალებს მთელი თავისი პროდუქცია ჩაბაროს ნაციონალურ მარაგთა ფონდში... მუშათა მასებისაგან მოითხოვს თავიანთი მოვალეობის შესრულებას და შრომის მაქსიმალურ ნაყოფიერებას... მოგონებს ყველა ახალგაზრდას მომენტის სერიოზულობას და ამასთან უადგილოდ და უდროოდ სთვლის დოქტრინიორულ დისკუსიებსა და მეტაფიზიკურ შენთხზავებს".

იტალიის ფაშისტურ ხროვაში გაჩაღებული კინკლობა მკაფიო გამოხატულებას ჰპოვებს განუწყვეტელ გადაყენებებსა და შეცვლაში. რასაც მუსოლინი ახდენს მმართველი **პანაკის** შიგნით. ამ ცოტა ხნის წინათ იტალიის პრესამ გამოაქვეყნა ცნობა ფაშისტური დირექტორიის შემადგენლობიდან ფაშისტური პარტიის ყოფილი გენერალური მდივნის ვიდუსონისა და კორპორაციის ყოფილი მინისტრის ტიენტის გამოყვანის შესახებ. გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ბერლინმა კორესპონდენტმა გამოაქვეყნა ცნობა მუსოლინის მთელი რიგი ახალი მკაცრი ზომების შესახებ, რომლებიც მიმართულია იტალიაში სეპარატიული ზავის მომხრეთა წინააღმდეგ.

იტალიის ოფიციალური ცნობის თანახმად 25 ივნისს მუსოლინიმ თანამდებობიდან გადაყენა 16 პროვინციის ფაშისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელნი.

ამრიგად, ფაშისტურ იტალიის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა უაღრესად დაძაბულია. სიცილიის სრუტეში იტალიის კუნძულების დაცემის შემდეგ გერმანიის პრესაც კი დიდად შეშფოთებულია თავისი ღერძის პარტნიორის შემდგომი ბედით. გაზეთი „მიუნხენერ ნეესტე ნახრიხტენი" აღნიშნავს, რომ „ბედი მაინც და მაინც არ ანებივრებდა იტალიელებს სამხედრო წარმატებებით". „არაბუნებრივი იქნებოდა,—სწერს გაზეთი,—რომ იტალიას, რომლისთვისაც ხმელთაშუა ზღვა „თავის ზღვას" წარმოადგენს, ხოლო ჩრდილოეთი აფრიკა **არა შორეულ** განაპირა მხარის, არამედ მეოთხე საანპიროს,—საკუსებით მშვიდად და გულგრილად მიეღო უკანასკნელი ამბები". გაზეთს ვერ დაუფარავს თავისი შეშფოთება ხმელთაშუა ზღვის გასეინში ომის შემდგომი განვითარების გამო. კიდევ უფრო მეტ შეშფოთებას გამოსთქვამს იტალიის, მოგომარეობის გამო გერინგის ორგანო—ეს სენის გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი". „იტალია იძულებულია თავდაცვითი ომი აწარმოოს,—სწერს გაზეთი,—და შემდეგში ყველაფერი დამოკიდებულია იტალიელი ხალხის წინააღმდეგობის ძალაზე. აფრიკაში ავიაპოსტების დაკარგვა, ეჭვს გარეშე, მძიმე დანაკლისი იყო, რომელიც მეტად ძლიერ გავლენას ახდენს იტალიის სტრატეგიულ მდგომარეობაზე".

ომის სამი წლის შემდეგ ფაშისტური იტალია სრულიად იმედგაცრუებული აღმოჩნდა. ჩრდილოეთ აფრიკიდან გერმანია-იტალიის ჯარების განდევნის შემდეგ იტალიაში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის რეალური საფრთხე შეიქმნა. თურქული გაზეთი „ენი ასირი", აღნიშნავს რა საფრთხეს, რაც სიცილიას მოელის, ამბობს, რომ „სიცილიის დაცვაში სუსტ ადგილს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მისი მოსახლეობა ყველაზე ნაკლებ სიმპატიას გრძნობს ფაშიზმისადმი". გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოკავშირეთა დარტყმების შედეგად კუნძული სიცილია აუცილებლად უნდა დაეცეს. გაზეთი „თურქ სეზიე" იტალიის მდგომარეობას ადარებს საფრანგეთის მდგომარეობას 1940 წელს საფრანგეთში გერმანიის შეჭრის წინ. გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალია გერმანიისაგან ჩამოშორების სულ უფრო და უფრო მეტ ტენდენციას იჩენს. ამჟამად გერმანია,—სწერს გაზეთი,—იზოლირებულია და თითქმის მარტოდ არის მრისხანე მტრის წინაშე".

პირველმა დიდმა დამარცხებებმა მსოფლიო ომის ფრონტებზე შესამჩნევად შეარყია იტალია-გერმანიის ბლოკი. მუსოლინი და მისი ხროვა სულ უფრო და უფრო ჰკარგავენ იმის რწმენას, რომ გერმანიას შეუძლია რაიმე ეფექტური დახმარება გაუწიოს იტალიას, როდესაც იტალიის ტერიტორია საომარი მოქმედების ასპარეზად გადაიქცევა. იტალიის დაბეჯითებითს მოთხოვნებს დამხმარე ძალებს გაგზავნის შესახებ დღემდე არავითარი წარმატება არ ჰქონია. რეალური დახმარების ნაცვლად გერმანელები იტალიელებს ურჩევენ თავიანთი სანაპირო სიმაგრეების იმედი იქონიონ და „საშიშროების წინაშე არ დაჰკარგონ სიმამაცე". ჰიტლერელთა ეს რჩევა მხოლოდ აღიზიანებს იტალიის სამხედრო წრეებს. ამას წინათ იტალიის სამხედრო მინისტრის მოადგილემ გენერალმა სორიჩემ მიიწვია რომში მყოფი გერმანელი ჟურნალისტები სპეციალურად იმისათვის, რომ განეცხადებინა მათთვის, „იტალიის სანაპირის თავდაცვითი ნაგებობანი ვერ შეედრებიან სხვა ადგილებში აგებულ სიმაგრეებსო", და რომ ამიტომ „საჭიროა იტალიის თავდაცვა უზრუნველყოფილ იქნას ყველაზე თანამედროვე და მობილური მექანიზებული იარაღით". სორიჩემ ამით ფარულად გამოსთქვა იტალიის სამხედრო წრეების უკმაყოფილება იმის გამო, რომ გერმანია დახმარებას არ უწევს იტალიას.

გერმანია-იტალიის კავშირის იდეა სულ უფრო და უფრო არაპოპულარული ხდება იტალიის მმართველ წრეებში, ზოგიერთი ფაშისტური წრეები, ითვალისწინებენ რა ომის საწინააღმდეგო და ანტიგერმანულ განწყობილებათა ფართოდ გავრცელებას იტალიაში, სხვადასხვა მანევრს მიმართავენ, რათა ნიადაგი მოსინჯონ მოკავშირეებთან კომპრომისის გამოსაძებნად. ამას წინათ ლონდონის რადიო შეეხო ამ მანევრებს და განაცხადა: „იტალიელებისათვის არსებობს მხოლოდ ორი გამოსავალი — ან იტალიელი ხალხი განაგრძობს ცხოვრებას და ამ შემთხვევაში განდევნილი იქნება მუსოლინი, ანდა მუსოლინი რჩება ხელისუფლების სათავეში და ამ შემთხვევაში იტალიელი ხალხი აურაცხელ უბედურებას განიცდის. მუსოლინიმ იტალიას თაეს დაატეხა თანამედროვე ომის ყველა უბედურება. იტალიელ ხალხს კიდევ უფრო მწარე განსაცდელი მოელის. იტალიის გადარჩენისათვის საჭიროა, რათა იგი დაუყოვნებლივ განთავისუფლდეს მუსოლინისაგან".

იტალიელი ფაშისტები კარგი. ცხოვრების გამო როდი „ლაყბობენ ზავზე". ეს ლაყბობა საუკეთესო მაჩვენებელია ღერძის ბანაკში არსებული სერიოზული კრიზისისა. „სერიოზულად გაუარესდა,—ნათქვამია საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობაში „საბჭოთა კავშირის სამამულო ომის ორი წელი",—აგრეთვე იტალია გერმანიის ბლოკის საერთაშორისო მდგომარეობა. ეს იქიდან სჩანს, რომ ჰიტლერულმა გერმანიამ არა თუ ვერ მოახერხა თავის მხარეზე გადაეყვანა ახალი მოკავშირენი, არამედ მას არ შეუძლიან დარწმუნებული იყოს თავის ახლანდელ მოკავშირეებშიც. სამხედრო დამარცხებათა შედეგად შეირყა ჰიტლერული გერმანიის ავტორიტეტი მის მოკავშირეთა შორის. სულ უფრო და უფრო მატულობს გერმანიის იზოლაცია საერთაშორისო ასპარეზზე".

ამ ბოლო დროს იტალია-გერმანიის ურთიერთდამოკიდებულების გაუარესება ამ მდგომარეობის მკაფიო დამადასტურებელი საბუთია.

დ. მელნიკოვი

ლ. ბ. ბერიას სახელობის ბოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ლეპეშინგი

ა. შ. შეაჯეგში მიიღეს კანონი გაფიცვათა აკრძალვის შესახებ

ნიუ-იორკი, 26 ივნისი (საკდესი). ა. შ. შტატების წარმომადგენელთა პალატამ 219 ხმით 129-ის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტი გაფიცვათა აკრძალვის შესახებ. ამ კანონპროექტით პრეზიდენტს უფლება ეძლევა თავის ხელში აიღოს სამხედრო ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ყოველი საწარმო, რომელშიც კონფლიქტები მუშებსა და საწარმოთა პატრონებს შორის წარმოებას ემუქრება. კანონპროექტი კრძალავს გაფიცვებს ყოველ საწარმოში, რომელსაც კი მთავრობა თავის ხელში იღებს. კანონპროექტი ითვალისწინებს სასჯელს ერთ წლამდე დაპატიმრებით იმ პირთათვის, რომლებიც გაფიცვისაკენ მოუწოდებენ, და შრომის საკითხთა მთავრობის სამმართველოს უფლებას აძლევს ომიანობის დროს მონაწილეობა მიიღოს სამხედრო მრეწველობაში კონფლიქტთა მოწესრიგების საქმეში. კანონპროექტის მერვე მუხლის თანახმად, იმ ქარხნის მუშათა წარმომადგენლები, რომელიც სამხედრო შეკვეთებს ასრულებს, და მწარმოებელი ვალდებული არიან აცნობონ მათ შორის მომხდარი კონფლიქტი, რომელიც წარმოების შეწყვეტის საფრთხესა ჰქმნის, შრომის მინისტრს, ომიანობის დროის შრომის საკითხთა სამმართველოს და შრომითი კონფლიქტთა კომისიას, „რათა მუშებს შესაძლებლობა მისცეს ამ შეტყობინების შემდეგ 30 დღის განმავლობაში ფარული კენჭისყრით გამოსთქვან თავიანთი აზრი მუშაობის შეწყვეტის საკითხზე".

ხსენებული კანონპროექტი მოწონებულ იქნა აგრეთვე ა. შ. შტატების სენატის მიერ 55 ხმით 22-ის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა რუზველტმა ვეტო დაადო კანონპროექტს, რომელიც კრძალავს გაფიცვებს სამხედრო მრეწველობაში. ამ საკითხზე სენატისადმი გაგზავნილ თავის განცხადებაში რუზველტი აღნიშნავს, რომ იგი განუხრელად გამოდიოდა გაფიცვების წინააღმდეგ ომიანობის დროს, მაგრამ ფიქრობს, რომ კანონპროექტს მისი ახლანდელი ფორმით შეუძლია გააძნელოს და არა გააადვილოს დასახული მიზნის მიღწევა—გაფიცვების თავიდან აშორება ომიანობის დროს. რუზველტის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იგი ხელს მოაწერდა კანონპროექტს, მაგრამ ეს უკანასკნელი შეიცავს მთელ რიგ მუხლებს, რომლებსაც განსაკუთრებით მერვე მუხლს, ნამდვილად შეუძლიათ მხოლოდ გამოიწვიონ გაფიცვები. რუზველტი აღნიშნავს, რომ იგი მზად არის მოაწეროს კანონმდებლობა, რომელიც საქმით გაძლიერებს მთავრობის რწმუნებას გაფიცვების თავიდან ასაშორებლად, და ამ მიზნით რჩევას იძლევა შეტანილ იქნას სამხედრო ვალდებულების კანონში შესწორება, რომელიც საშუალებას მისცემდა არასამწყობრო სამხედრო სამსახურში გაეწვიათ პირები 65 წლის ასაკამდე. ეს, ნათქვამია განცხადებაში, საშუალებას მისცემს მთავრობას სამხედრო სამსახურში გაიწვიოს ყველა პირნი, რომლებიც მონაწილეობენ სამხედრო ქარხნების გაფიცვებში.

წარმომადგენელთა პალატამ 244 ხმით 108-ის წინააღმდეგ და სენატმა 56 ხმით 25-ის წინააღმდეგ უარჰყო რუზველტის მიერ კანონპროექტზე დადებული ვეტო. ამრიგად კანონპროექტი ძალაში შევიდა.

იუგოსლავიის ახალი კაბინეტის შედგენა

ლონდონი, 27 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ შესდგა იუგოსლავიის ახალი კაბინეტი. მის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი ტრიფუნოვიჩი, ვიცე-პრემიერები—იოვანოვიჩი, კრენევიჩი და კრეკა, საგარეო საქმეთა მინისტრი გროლი, სამხედრო მინისტრი გენერალი მიხაილოვიჩი და სხვები.

მოსახლეობისა და გერმანელთა შეჯაჯებანი იტალიის ქალაქებში

ნიუ-იორკი, 28 ივნისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ინფორმაციის ბიურო გადმოგვცემს, რომ, სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ამას წინათ მილანში მთელი რიგი შეტაკებანი მოხდა ქალაქის მოსახლეობასა და გერმანელ ჯარისკაცთა შორის. შეტაკებათა მიზეზი გახდა იტალიელთა მტრული დამოკიდებულება გერმანელებისადმი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ გერმანელებს ქალაქიდან გაავდესურსათი, მიუხედავად მისი მწვავე ნაკლებობისა. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ იტალიის სამხედრო ხელისუფლებამ გასცა ბრძანება, რომლითაც გერმანელ ჯარისკაცებს ნება ეძლევათ იარონ ქალაქის მხოლოდ განსაზღვრული ქუჩებით.

შეტაკება მოსახლეობასა და გერმანელ ჯარისკაცთა შორის მოხდა იტალიის მთელ რიგ სხვა ქალაქებშიც.

სამი ათასი და ერთი

ლონდონის რადიომ ამ დღეებში გადასცა საინტერესო დაწერილებითი ცნობები კუნძულ ლამპედუზის იტალიელთა სამეათასიანი გარნიზონის დანებებაზე გარემოებათა შესახებ. პანტელერიის აღების შემდეგ მოკავშირეთა ავიაციამ თავისი დარტყმები ლამპედუზაზე გადაიტანა. კუნძულის გაძლიერებული დაბომბვის დროს ზღვაზე მიფრინავდა ინგლისელთა თვითმფრინავი, რომელსაც მართავდა ავიაციის სერჟანტი პოლ. კაუნი. თვითმფრინავი მალტიდან აფრინდა და ჩრდილოეთ აფრიკაში გაემართა, მაგრამ იძულებული გახდა კუნძულ ლამპედუზაზე დაშეებულიყო. კაუნი დაეშვა იმ მომენტში, როცა ლამპედუზის ძლიერ ბომბავდა ინგლისის ავიაცია. აერთდროულად რომ დაჯდა, მფრინავმა დაინახა, რომ მისკენ ზემოდან მიემართებოდა იტალიელთა ჯგუფი მაღალ აწეულ თეთრი ბაირაღით, რამაც შფრინავი მეტად გააოცა. იტალიელები შეეკითხნენ კაუნს კაპიტულაციის პირობების შესახებ. მას, ბუნებრივია, არაფრის თქმა არ შეეძლო ამის შესახებ, მაგრამ, სწრაფად შეაფასა რა მდგომარეობა, გამართა მოლაპარაკება. ამასობაში დაბომბვა დამთავრდა, იტალიელებმა კიდენი მოამარაგეს ბენზინით, და მან ჩრდილოეთ აფრიკაში წაიღო პატაკი გარნიზონის კაპიტულაციის შესახებ. ასე დამთავრდა იტალიის „კუნძულის სიმაგრე" ლამპედუზის არსებობა.

მუსოლინის ერთ-ერთი სამხედრო-სტრატეგიული ქმნილების ეს უსახელო ბოლო მეტად დამახასიათებელია. „ცხვრების წინააღმდეგ მამაცია, მამაცის წინააღმდეგ კი—თვითონ ცხვარიაო". ასეთია გერმანელი ფაშისტი აფთრების ბუნება, ასეთივეა მათი იტალიელი მონათესავე—ტურების ბუნებაც.

(„პრავდა", 19 ივნისი).

უცხოეთის ქრონიკა

იტალიის პოლიციამ უკანასკნელ ხანს დაატყვევა 11.000-ზე მეტი კაცი. დაპატიმრებულთა შორის ბევრია „დამარცხების სულისკვეთებით მოწამლული" სახელმწიფო მოსამსახურე.

* * *

ედინბურგში (შოტლანდია) გაიხსნა გამოფენა, რომელიც აშუქებს ბელგიის მონაწილეობას ომში გაერთიანებული ერების მხარეზე.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ მოიწონა ომიანობის დროის წესები, რომელნიც ზღუდავენ იაპონური წარმოშობის ამერიკელ მოქალაქეთა უფლებას იცხოვრონ ამერიკის შეერთებული შტატების დასავლეთ სანაპიროსთან. მთელი რიგი რაიონებიდან უკვე გადასახლებულია 70.000 კაცი.

* * *

თურქეთში ამას წინათ მომხდარი მიწისძვრის შედეგად მარტო ადაპაზარში მოკლულია 500 კაცი. ქალაქში დანგრეულია შენობათა 80 პროცენტზე მეტი. მაგრამ დანარჩენი სახლებიც იმდენად დაზიანებულია, რომ იქ ყოფნა საშიშია. მოსახლეობა თავს აფარებს კარვებს. ადაპაზარის რაიონის მომიჯნავე სოფლები ბუდუკლარი და ტაშლიკი სულ მთლად დანგრეულია.

* * *

გერმანიაში კაუჩუკის მწვავე ნაკლებობაა. ამ ცოტა ხნის წინათ ინგლისის ხომალდებმა ჩასძირეს გემები, რომლებსაც გერმანიაში მიჰქონდათ 30.000 ტონა ნატურალური კაუჩუკი, ხოლო მოკავშირეთა ავიაციამ ფიულსინი დაანგრია სინთეზური კაუჩუკის ერთ-ერთი გერმანული ქარხანა. სინთეზური და ფიგენერირებული კაუჩუკის წლიური წარმოება გერმანიის არმიის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს.

* * *

ნიცაში ფრანგმა პატრიოტებმა მოჰკლეს სამი იტალიელი ოფიცერი. ამის სამაგიეროდ ოკუპანტებმა ქალაქის მცხოვრებთ დაადეს 3 მილიონი ფრანკი ჯარიმა და მოსახლეობას აუკრძალეს ქუჩაში გამოსვლა 21 საათის შემდეგ.

* * *

ჩრდილოეთ ნორვეგიის ერთ-ერთ ნავსადგურში აჯანყდნენ გერმანელთა 6 წყალქვეშა ნავის ეკიპაჟები, რომელთაც უარი სთქვეს ზღვაში გასვლაზე. ყველა აჯანყებული დაპატიმრებულია.

* * *

გერმანიაში სამუშაოდ ნორვეგიელთა იძულებით მობილიზაციასთან დაკავშირებით ოსლოში ამას წინათ გაფიცვამ იფეთქა. დაპატიმრებულია 150 მუშა.

* * *

საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე დე გოლი ტუნისს ჩავიდა. (საკდესი).

ომი საბჭოთა პატრიოტების—ივანატოვების ოჯახის მშობლიურ ქალაქს უახლოვდებოდა. მტერი გაფთრებით მოისწრაფოდა ყუბანისაკენ. პეტრე კარპეს-ძე ივნატოვმა, ბოლშევიკური პარტიის წევრმა 1913 წლიდან და სამოქალაქო ომის დროის პარტიზანმა, სათითბირიოდ თავი მოუყარა თავის სამ ეაჟს. მამაცმა საბჭოთა ადამიანებმა გადასწყვიტეს ებრძოლათ მოსისხლე მტერთან და შეუდგნენ პარტიზანული რაზმის შექმნას. მოკლე ხნის განმავლობაში მათი რაზმის პარტიზანებმა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს უდიდესი ზარალი მიაყენეს. ყუბანის მეწყა მათ სამარედ გაუხადეს 2 ათასამდე გერმანელს, ააფეთქეს 4 მატარებელი, 8 ჯავშნიანი მანქანა, 30 სატვირთო მანქანა, 2 რკინიგზისა და 6 გზატეხილის ხიდი და დასჭრეს სულ ცოტა 3.000 ფაშისტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ გმირულ და უთანასწორო ბრძოლაში მამაცთა სიკვდილთან დაიღუპა პ. კ. ივნატოვის ორი ეაჟი, ევგენი და გენადი, რომელთაც მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. **სურათზე:** გმირების დედა-მამა, რაზმის მეთაური **პ. კ. ივნატოვი** და რაზმის უფროსი სამედიცინო და **ე. ი. ივნატოვა.**

ფოტო ა. გალაგანოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

„საფინანსო მუშაობის ფრიადოსნის" ნიშნით დაჯილდოებულნი

საბანკო-საკრედიტო მუშაობის გაუმჯობესებისა და განმტკიცების საქმეში აქტივობისა და ინიციატივის გამოჩენისათვის და სოციალისტური შეჯიბრების მაჩვენებლების სანიმუშოდ შესრულებისათვის, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ზვერევის ბრძანებით დაჯილდოებული არიან **„საფინანსო მუშაობის ფრიადოსნის"** ნიშნით სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის სისტემის ქვემოთ დასახელებული მუშაკები:

პ. დ. ჯანაშია—სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის მმართველი, **ნ. ვ. ბეგიაშვილი**—საქართველოს კანტორის სამრეთ-ოსეთის ოლქის განყოფილების მმართველი, **ფ. ა. გაბელაია**—საქ. კანტორის პუნქტის რწმუნებული აბაშის რაიონში, **ნ. გ. კანნიაშვილი**—საქ. კანტორის პუნქტის რწმუნებული გორის რაიონში, **ვ. კ. შაკაია**—საქ. კანტორის პუნქტის რწმუნებული ოჩამჩირის რაიონში, **ტ. ი. ხაჩიძე**—საქ. კანტორის პუნქტის რწმუნებული თელავის რაიონში. „საფინანსო მუშაობის ფრიადოსნის" ნიშნით დაჯილდოებულ მომუშავეთ მიეცათ ფულადი პრემია თითო თვის ხელფასის რაოდენობით.

შუქშენიღბვის რეჟიმის დარღვევისათვის

უკანასკნელ ხანებში შუქშენიღბვის რეჟიმის დარღვევისათვის ქ. თბილისში დაჯარიმებული არიან: ნ. ი. სხირტლაძე (რუსთაველის ქ. № 40) 1.500 მანეთით, ნ. ი. იზაშვილი (სასამართლოს ქ. № 45), მ ი. ჯაჯანაშვილი (სასამართლოს ქ. № 49), ე. ვ. აზაურაშვილი (